

## ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის პროექტის განმარტებითი ბარათი

ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის საპროექტო ტერიტორია განლაგებულია კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, ს/კ 03.01.22.205, ირ. აბაშიძის N20-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენს სწორი ზედაპირის მქონე ლანდშაფტს. საპროექტო გეგმარებითი იდეა მდგომარეობს შემდეგში, რომ შეგვექმნა მარტივი და მოსახერხებელი ფორმის შენობა, რომელიც, ამავდროულად, სრულიად დააკმაყოფილებდა არქივის რთულ სტრუქტურულ ფუნქციონირებას.

არქივის ყველა ფუნქციონალურ-ტექნოლოგიური სქემა დაფუძნებულია შენობაში ოთხი ნაკადის მოძრაობაზე: ახალი დოკუმენტების მიღება-გადაადგილება; არსებული დოკუმენტების გადაადგილება; მომსვლელთა გადაადგილება; პესონალის გადაადგილება.

ჩვენ მიერ შემუშავებულ სქემაზე (იხ. დანართი) წარმოდგენილია არქივის შენობის ფუნქციონალური ზონები და მითითებულია მოძრაობის გრაფიკები. მთავარი შესასვლელიდან და ჰოლიდან პერსონალისა და მომსვლელთა ნაკადები გაყოფილია, ხოლო ახალი დოკუმენტების მოძრაობა იზოლირებულია ყველა სხვა დაკადებისაგან, რაც წარმოადგენს აუცილებელ პირობას.

შიდა გეგმარების გადაწყვეტაში ყურადღება გამახვილებულია საგამოფენო დარბაზზე, რომელიც წარმოადგენს მთავარ კომპოზიციურ ღერძს. საგამოფენო დარბაზი და მთავარი ჰოლი ერთმანეთთან დაკავშირებულია არა ხისტი კედლებით, არამედ მსუბუქი, ტრანსფორმირებადი ტიხრებით. ტიხრების გადაადგილებით, ჰოლი შესაძლებელია გაერთიანდეს საგამოფენო სივრცესთან, ერთიანი, საინტერესო მოცულობით, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს საინტერესო კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები, შეხვედრები, ინსპირაციები. ვფიქრობთ, რომ საგამოფენო სივრცის შეყვანა ჰოლის ინტერიერში განსხვავებულობას და ინდივიდუალიზმს შესძენს არქივის სტრუქტურას. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამგვარ სტრუქტურას ბევრ ევროპულ ისტორიულ მუზეუმ-არქივებში შევხვდებით.

საგამოფენო დარბაზის საპირისპირო მხარეს განვითავსეთ სათათბირო ოთახი (მისაღებ-მოსაცდელსო), რომელიც ასევე ტრანსფორმირებადი ტიხრებით უკავშირდება საგამოფენო დარბაზს და ინტეგრირებულია მის მოცულობაში (შესაძლებელია მისი ფართობის გამოყენება).

არქივის მთავარი კომპონენტი, საცავი, განვითავსეთ ოვალურ 5-სართულიან მოცულობაში, რომელიც ორი კიბის უჯრედებითა და 2 ლიფტით უკავშირდება პირველი სართულის ოთახებს. საცავის ყველა კორიდორი განათებულია ხელოვნური სინათლით, ყველა სართულზე განთავსებულია პერსონალის სამუშაო ოთახი და სათავსო დამლაგებლის ინვენტარისათვის. საცავის კონსტრუქციული

მალების სიდიდე შერჩეულია ისე, რომ გასასვლელ სტელაჟებს შორის იყოს მანძილი 75 სმ, რაც სასურველია არქივის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.

შენობის ფასადის მოცულობა-გეგმარებითი კომპოზიცია დაფუძნებულია საცავის 5-სართულიანი ოვალური ფორმის ინტეგრირებაზე 1-2 სართულიან სტილობატის ნაწილზე. უმეტეს წილად, არქივის შენობები არის სწორკუთხოვანი კედლებითა და კორიდორებით დაპროექტებული, ჩვენ საპროექტო წინადადებაში კი ოვალური საცავი და სწორკუთხოვანი პირველი სართული სწორკუთხოვანი საინტერესო სილუეტს შექმნის არსებულ განაშენიანებაში.

შენობის კონსტრუქციული სქემა შესრულებული იქნება რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასისაგან, ხოლო ფასადების მოსაპირკეთებელ მასალად გამოყენებული იქნება თანამედროვე სამშენებლო მასალები, როგორებიცაა: ანოდირებული ალუმინის პროფილი, ფუნდერმაქსი, ბეტოფანი, შუმა, რომლებიც უკვე გამოყენებული გვაქვს ჩვენ მიერ რეალიზებულ პროექტებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ჩვენ მიერ წარმოდგენილი ქ. ქუთაისის ცენტრალური არქივის შენობა, ქალაქს შესძენს ინდივიდუალურ, ორიგინალურ, შენობას.

შპს „გოდაკო +“-ის დირექტორი  
გიორგი კვიციანიშვილი